თინა აბულაშვილი

1948 წლის არქეოლოგიური დაზვერვები დიდი ლიახვის ხეობაში

შიდა ქართლში სხვადასხვა წლებში არქეოლოგიურ დაზვერვებს და გათხრით სამუშაოებს არაერთი ცნობილი არქეოლოგი აწარმოებდა. აქ გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლებით ბევრი მკვლევარი იყო დაინტერესებული, თუმცა მათ მიერ ჩატარებული სამუშაოების ამსახველი მასალები სრულად არ არის შემოსული არქეოლოგიურ ლიტერატურაში. სტატიის მიზანია წარმოვაჩინოთ ამ რეგიონში 1948 წელს სერგო ნადიმაშვილის მიერ განხორციელებული სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოების მარშრუტი და გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლების აღწერილობა. არქეოლოგიური დაზვერვების ანგარიში ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტში.

შიდა ქართლი XIX საუკუნის მიწურულამდე არქეოლოგიურად თითქმის შეუსწავლელი იყო. ამ მხარეში შემთხვევით აღმოჩენილი საყურადღებო არქეოლოგიური მასალები სხვადასხვა მუზეუმებში ინახებოდა. პირველი გათხრითი ხასიათის არქეოლოგიური სამუშაოები 1852 წლის ზაფხულში, ქ. გორიდან დაახლოებით 15 კმ-ში, უფლისციხეში ჩაატარა დიმიტრი მეღვინეთუხუცესისშვილმა [გამყრელიძე 1996: 4; Кавказ 1852], ხოლო 1890 წელს მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების დავალებით ვ. დოლბეჟევმა სოფ. სტირფაზში აწარმოა მცირე არქეოლოგიური გათხრები. არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა თლიის სამაროვანზეც. 1924 წლიდან არქეოლოგიური კომისიის დავალებით აქ ე. პჩელინა სწავლობდა სხვადასხვა პერიოდის ძეგლებს. მან პირველმა აღმოაჩინა სოფ. ნულში ბრინჯაოს ხანის სამაროვანი, რომელიც ა. სმირნოვთან ერთად შეისწავლა. ასევე გამოვლინდა შუაბრინჯაოდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის კულტურული ფენები [ჯაფარიძე 2009: 11; Куфтин 1949: 31-33; 51, 74]. 1936-1945 წლებში, როცა საქართველოში დიდი მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობდა, შიდა ქართლში ბევრი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლი იქნა შესწავლილი. ამ რეგიონში ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არაერთი არქეოლოგიური ექსპედიცია მუშაობდა. სოფ. დვანში ბორცვ სამნიფერდაზე არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა ბ. კუფტინმა. გამოვლინ-

და ენეოლითური ხანის და შუასაუკუნეების მასალა [Куфтин: 1949: 51]. იმავე წელს ქ. ცხინვალთან, ზღუდრისგვერდაზე ბ. კუფტინმა გამოავლინა ენეოლითური ხანის კულტურული ფენა. 1945-1951 წლებში ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის და არქიტექტურის სამმართველოს ძეგლთა დაცვის განყოფილების დავალებით, ბ. კუფტინის ხელმძღვანელობით, აქ მოეწყო სამარშრუტო ექსპედიცია, რომელმაც ფართო ხასიათის, სისტემატური სადაზვერვო და გათხრითი სამუშაოები აწარმოა. წინასწარი დაზვერვების დროს არაერთი ძეგლი გამოვლინდა. ანაკრეფ მასალაში თრიალეთის კულტურის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ნატეხების აღმოჩენის შედეგად ბ. კუფტინმა გამოთქვა აზრი, რომ სწორედ აქედან აღწევდა თრიალეთის კულტურა ჩრდილო კავკასიას და აქ გადიოდა ერთ-ერთი დამაკავშირებელი გზა ქედს იქით მხარესთან [კუფტინი 1949: 16, 37; Куфтин 1949: 16]. ამ კვლევების ერთ-ერთ მიზანს სწორედ თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურის რადიაციის, მისი საზღვრების დადგენა წარმოადგენდა. გათხრები ჩატარდა გორის ციხეზე, გამოვლინდა ანტიკური ხანის, ძვ.წ. I ათასწ-ის მეორე ნახევრის, კულტურული ფენა და შუა საუკუნეების დიდი სიმაგრის ქვა-ალიზის კედლის ნაშთი, აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი და ქვევრები [ლომთათიძე 1952: 139]. 1945-1948 წლებში გ. გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა ცხინვალის გარეუბანში, ქალაქიდან 1,5-2 კმ-ის დაშორებით, ბორცვ „ნაცარგორაზე“, სადაც სამი კულტურული ფენა დაფიქსირდა: პირველი ენეოლითური ფენა (ძვ.წ. III ათასწ-ის ბოლო II ათასწ-ის დასაწყისი), მეორე ფენა ძვ.წ. II ათასწ-ის მეორე ნახევარს მიეკუთვნებოდა, ხოლო მესამე ფენა ძვ.წ. I ათასწ-ის პირველი ნახევარით დათარიღდა. აღმოჩნდა: კაჟის ისრისპირები, ქვის კვერი, ობსიდიანის ნატეხები, თიხის ჭურჭელი, ცხვრის და ფრინველის ძვლები [Куфтин 1949: 53, 55; 62-63; ბერძენიშვილი 1959: 56]. 1947 წელს ცხინვალის მახლობლად მისგან 7კმ-ის დაშორებით სოფ. ქვასათალში გაითხარა ბრინჯაოს ხანის სამაროვანი და ენეოლითური ხანის კულტურული ფენა [ჯაფარიძე 1959: 76], ხოლო 1948 წელს გორის რ-ნის სოფ. დვანში ს. მაკალათიას ხელმძღვანელობით გაითხარა სამაროვანი, აღმოჩნდა ადრეული რკინის ხანის მასალა და სამკაული [ხოშტარია 1959: 243]. იმავე წელს ქ. ცხინვალის სამხრეთ-დასავლეთით, ადგილზე „ქვიანა“ ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები. გამოვლინდა ძვ.წ. I ათასწ-ის შუა პერიოდის სამაროვანი [აბულაშვილი 2011: 79].

შიდა ქართლის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის საქმეში დიდი როლი შეასრულა გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული

მუზეუმის დირექტორმა სერგო ნადიმაშვილმა, რომელიც 1952 წლამდე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში მუშაობდა. 1945-1951 წლებში, შიდა ქართლში, სადაზვერვო სამუშაოების წარმოებისას სერგო ნადიმაშვილი მეგზურობას უწევდა ბორის კუფტინს, იგი ამ მხარის სიძველეების კარგი მცოდნე და არაერთი ძეგლის აღმომჩენი იყო. მის მიერ აღმოჩენილი ძეგლებიდან ყველაზე განსაკუთრებული ცხინვალის „ნაცარგორა“ იყო. 1948 წლის აპრილში სერგო ნადიმაშვილი, ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის ნ. ბერძენიშვილის დავალებით, მივლინებული იყო დიდი ლიახვის ხეობაში არქეოლოგიურ ძეგლებზე სადაზვერვო სამუშაოების ჩასატარებლად. დაზვერვები განხორციელდა გორის რაიონის სოფ. შერთულიდან დაბა ჯავამდე. გამოვლინდა სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები: ნამოსახლარები, სამაროვნები, საკულტო ნაგებობები, სტრატეგიული მნიშვნელობის საფორტიფიკაციო გასამაგრებელი ნაგებობები.

სადაზვერვო სამუშაოების მარშრუტი ასეთი იყო: შინდისი, ზემო ხვითი, ქვემო და ზემო ნიქოზი, ცხინვალი (სტალინირი), მამისაანთუბანი, ერგნეთი, მეღვრეკისი, შერთული, ტყვიავი, ტბეთი, კუსრეთი, დგვრისი, თამარაშენი, ზემო და ქვემო აჩაბეთი, ქურთა, კეხვი, ჯავა, ხვწე, სტირფაზი, კროზი (კროჟი), განითყაუ, ხვრწე. მორგო, ჯრია, ჯავა, მსხლები, გუფთა, ითრაფისი, ქემერტი, მებრუნე, დოდოთი, ბრილი, ძარი, ზედა, ქვედა და შუა რუსათავი, კასპი, ყორნისი, ბეყმარი, არკნეთი, ღვერთევი, ნული, მობინოს ხევი, სამწყარო, ფრინევი, ავნევი, მუგუთი, დვანის ნაცარგორა, ყვავის საყდარი, ცხინვალის ნაცარგორა, ქულბაქები, ზღუდერი, მცხეთის ჯვარი.

სოფელი შერთული

სოფ. შერთელი მდებარეობს მდ. ლიახვის მარცხენა მხარეს, იქ სადაც დიდი და პატარა ლიახვი ერთმანეთს ერთვის. სოფლის დასავლეთით, პატარა და დიდ ლიახვს შორის საკმაოდ დიდ მინდორზე, ჩრდილოეთის მხრიდან კონცხივით შემაღლებაა, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენაა მიმართული. ამჟამად აქ სოფლის ბაღები და სახნავი მიწებია. ადრე სოფელს როგორც მოსახლეობიდან გახდა ცნობილი ჩართული რქმევია. ასევე მოიხსენიებს და განმარტავს მას ივ. ჯავახიშვილი მოსახლეობის აღწერისა და დასახლების შესახებ მსჯელობისას [ჯავახიშვილი 1948: 34]. თავისი გეოგრაფიული და სტრატეგიული მდებარეობით შერთულს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

ადრეულ ხანაში სოფ. შერთულში მოსახლეობის არსებობაზე მიუთითებს სოფლის ჩრდილოეთით პატარა და დიდ ლიახვს შორის მინდორზე, გამოვლენილი ყორღანული სამარხების დიდი ჯგუფი, რომლებიც მდინარეების ნაპირებზე იყო განლაგებული და ქმნიდნენ ყორღანულ ველს. ეს ყორღანები სოფ. მეღვრიკისის სახნავი მიწების საზღვარზე მდებარეობენ და ცნობილნი არიან „წოწოლა ქვების“, სამნი-გორას“, „კორდი-გორას“ გორაკების სახელით [ნადიმაშვილი 1948: 2; 3]. ეს არის ყორღანული სამარხების უწყვეტი ჯაჭვი. გოროდცოვის აზრითაც ყორღანები, ჯგუფურად, ძირითადად მდინარეთა ნაპირებზეა განლაგებული და იქ მოსახლეობის არსებობაზე მიუთითებენ [Городцов 1905: 177]. ამის გათვალისწინებით შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ მდ. ლიახვის ნაპირზე ადრეულ ხანაში არსებობდა დასახლება თავისი სამაროვნით. ამაზე მეტყველებს სოფ. შერთულიდან 3-4 კმ-ის მანძილზე სოფ. ტყვიავის ჩათვლით არსებული 50-ზე მეტი ყორღანული სამარხიც [მაკალათია 1943: 11]. სოფ. შერთულში სამიმოსვლო და სავაჭრო გზები უმთავრესად მდინარეთა ნაპირებზე და თვით მდინარეებზე მდებარეობდა, ამიტომ თავისი გეოგრაფიული მდებარეობითაც ამ სოფელს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

სოფელი შინდისი

სოფ. შინდისი მდებარეობს მდ. დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირას. სოფლის მინდორში „ნამგალეების“ მიწაში აღმოჩნდა ყორღანული სამარხი, რომლის სიმაღლე იყო 1,5მ. მის ახლოს ასეთივე ყორღანული ბორცვები, დაზიანებული იყო მოსახლეობის მიერ აქედან რიყის ქვის გაზიდვის შედეგად. შინდისის სამხრეთ-დასავლეთით შემორჩენილი იყო ნასახლარი, რომელსაც სოფლის მოსახლეობა „თვალთ-უბანს“ უწოდებდა. აქვეა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაც. სოფელში შემორჩენილი იყო ნახევრად დანგრეული ციხე-სიმაგრე, რომლის მახლობლად მირზაშვილების საგვარეულო წმინა გიორგის სახელობის ეკლესია დგას ქვაზე შემონახული წარწერით. მასზე მეფე ერეკლე და მირზაშვილი გიორგი იხსენიება [ნადიმაშვილი 1948: 5].

სოფელი ზემო ხვითი

სოფელ ზემო ხვითში 1927 წელს ადგილობრივი მოსახლის საკარმიდამო ნაკვეთში მიწის ჩამოშლის შედეგად აღმოჩნდა მარანი. ეს ფაქტი 1943 წელს არხის გაყვანის დროს განმეორებით დადასტურდა. მოსახლეობის გადმოცემით სოფელში მშენებლობის ანდა რაიმე მიწის სამუშაოების წარმოებისას მუდმივად ჰქონდა ადგილი ნასახლარების და სამარხების აღმოჩენის ფაქტებს [ნადიმაშვილი 1948: 6].

სოფელი ქვემო ნიქოზი

სოფლის მცხოვრები გიორგი ბოჭორიძის ცნობით, სახლის საძირკვლის გაჭრისას აღმოჩენილა ორი სამარხი. მიცვალებულები დაკრძალულნი ყოფილან გვერდულად, მოხრილ პოზაში. თითოეულის თავთან დებულა თითო, პატარა, მუცელგანიერი, ვიწროყელიანი, პირგადაშლილი, მოწითალო ფერის თიხის ჭურჭელი. მისივე გადმოცემით სოფ. ზემო ხვითსა და ქვემო ნიქოზს შორის მდებარე გზის ნაპირას, ფლატეში, არსებობდა სამარხები, სადაც წვიმების დროს მიწა ირეცხებოდა და ჩნდებოდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ზოგჯერ კი მთელი ჭურჭელიც [ნადიმაშვილი 1948: 6]. ეს ფაქტი აქ სამაროვნის შესაძლო არსებობაზე მიუთითებს.

სოფელი მეღვრეკისი

სოფ. მეღვრეკისი მდებარეობს მდ. დიდი ლიახვის მარცხენა ნაპირზე, ცხინვალი-გორის გზიდან სამხრეთ-დასავლეთით. სოფლის გზის მარჯვენა მხარეს, 1939 წელს, სოფლის მცხოვრებ ილია ქებაძეს, სახლის საძირკველის გათხრისას 1,5 მ სიღრმეზე ორი სამარხი აღმოუჩენია. მიცვალებული დაკრძალული ყოფილა ყორით შემოვლებულ ორმოში, მოკრუნჩხული. მიცვალებულს თან ახლდა სამარახეული ინვენტარი: ბრინჯაოს შუბისპირი (ყობანურ-სამთავრული), ნახევრად ოვალური მოყვანილობის ბრინჯაოს ქამრის აბზინდა, რომელიც შემკული იყო კონცენტრული გადაბმული სამი სპირალით, ბრინჯაოს საკინძი ბოლომოხვეული ყუნწით, სარდიონის მძივები, თიხის სხვადასხვა ჭურჭელი. ილია ქებაძეს აღნიშნული ნივთები გადაუცია გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილებისათვის [ნადიმაშვილი 1948: 7].

სოფელი ზემო ნიქოზი

სოფელ ნიქოზში აღმოჩენების შესახებ ცნობას იძლევა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების საკოლექციო წიგნში 28-14 ნომრით გატარებული ცნობა იმის შესახებ, რომ ვინმე მხითარიანცმა კავკასიის მუზეუმს ჩააბარა აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთები: რკინის ისრისწვერი, ორი ბრინჯაოს სამაჯური და ბრინჯაოს სახელური (?). თუმცა აღმოჩენის კონკრეტული ადგილის შესახებ ცნობა არ მოიპოვებოდა.

1939 წლის მაისში ლ. მუსხელიშვილის დავალებით, შიდა ქართლში, კერძოდ კი მდინარეების პატარა და დიდი ლიახვის ხეობებში განხორციელებული სადაზვერვო სამუშაოების შედეგად სოფ. ნიქოზის ჩრდილოეთით, 1 კმ-ის დაშორებით გუჯაბაურ-სტალინირის (ცხინვალის) სარკინიგზო ლიანდაგის მარჯვენა

მხარეს მიკვლეული იქნა სტალინირის (ცხინვალის) „ნაცარგორა“. აიკრიფა ზედაპირული მასალა, ძირითადად ფრაგმენტული სახით. 1940 წელს ისევ განხორციელდა ამ ტერიტორიის არქეოლოგიური დაზვერვები. 1944 წლის მაისში გორის მუზეუმის დავალებით, დამატებითი მასალების მოძიების მიზნით კვლავ განახლდა დაზვერვითი სამუშაოები. გუჯაბაურ-ცხინვალის „ნაცარგორას“ სამხრეთით, და სოფ. ნიქოზის თავზე, ცხინვალგორის ლიანდაგის გადაღმა, გამოვლინდა ტერასა, რომელიც მდ. ლიახვის ეროზიის შედეგად ფლატედ იყო ქცეული. მას გეოლოგიურ ლიტერატურაში “ტბეთის ტერასას“ უწოდებენ. ეს ტერასა და ზღუდრისგვერდას ტერასა გეოლოგიურად ოდესღაც შეერთებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ დროთა განმავლობაში მდინარის ზემოქმედების გამო დაშორებულან. მათ ლიახვის ფართო კალაპოტი აშორებს. აღნიშნული ტერასები წარმოდგენილია ტუფო-ქვიშოვანი ბრექჩიებით, რომლებიც დაფარულია თიხით.

ჩამორეცხილი ფლატის მარჯვენა ნაპირზე აღმოჩნდა პატარა ეკლესიის ნანგრევი, რომელსაც მოსახლეობა „ნაცარგორას ხატს“ ან ზოგჯერ „ყვავის საყდარს“ უწოდებდა. ეკლესია ბორცვზე იდგა, მისი კედლები ოდესღაც ნათალი ქვებით ყოფილა შეპერანგებული. დანგრეული კედლის წინ ვანათის მოწითალო ტუფის ქვის დამუშავებული კარიბჭის დიდი ქვა ეგდო. ეკლესია ხელოვნურ თუ ბუნებრივ შემაღლებულ ბორცვზე აუგიათ.

კეხვი-სალთვისის არხის ტოტის გასასვლელთან საგზაო სამუშაოებისას აღმოჩენილ იქნა სამაროვანი. ტრაქტორის მიერ დაზიანებული სამარხებიდან მიწის ზედაპირზე ამოყრილი და მიმობნეული იყო სხვადასხვა ჭურჭლის ნატეხები და მიცვალებულის ძვლები. აკრეფილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და ზოგიერთი მთელი ჭურჭელიც გადაეცა ცხინვალის მუზეუმს [ნადიმაშვილი 1948: 8-10].

სოფელი დგვრისი

სოფ. დგვრისი ცხინვალს უერთდება ჯავის გზატკეცილით. სოფელში ქართველების გარდა ცხოვრობდნენ სომხები და ებრაელები. მიკკვლეული იქნა პატარა ბაზილიკის ტიპის ორფერდა ნავისებური ეკლესია, რომელსაც მხოლოდ აღმოსავლეთი მხარე შემორჩენოდა. მოსახლე ელიოზისშვილის გადმოცემით ის მათი საგვარეული ეკლესია იყო, რომელიც წმ. ნიკოლოზის სახელობის იყო და სახურავის თავთან ცხვრის ქანდაკებით იყო შემკული. მათვე ეკუთვნოდათ პირამიდისმაგვარი ციხე-კოშკი.

ჯავის გზატკეცილის 115 კ-მზე, 1937 წელს, ვინმე სიმონ სალომაძემ სახლის საძირკვლის გათხრისას იპოვა სამარხი. აღმოჩნდა: მძივები, ბრინჯაოს იარაღები (მათ შორის ცული და სატევარი), ქინძისთავი, თიხის ჭურჭელი და მიცვალებულის ჩონჩხი. სა-

ლომაძის გადმოცემით მიცვალებული დაკრძალული ყოფილა 1-1,5 მ სიღრმეზე, გვერდულად. ამ ნივთებიდან გორის მუზეუმს 1939 წელს გადაეცა ბრინჯაოს მეტად ორიგინალური ხელობის მთლიან სახელურიანი დაფანჯრული ბრინჯაოს სატევარი, სპირალებით შემკული და სამსჭვალო ლურსმნებით გაყრილი სალტა. დანარჩენი ნივთები დაკარგული იყო [ნადიმაშვილი 1948: 11].

სოფელი ზემო აჩაბეთი

სოფ. ზემო აჩაბეთი მდებარეობს მდ. დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, ქ. ცხინვალიდან 5 კმ-ის დაშორებით. XIX საუკუნეში უცნობ კოლექციონერ მხარეთმცოდნეს კავკასიის მუზეუმისათვის გადაუცია ამ სოფელში აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთები: ბრინჯაოს ცული, კონცენტრული წრისმაგვარი აბზნდა, ჯიხვის თავის ქანდაკება, საკიდი ფრინველის გამოსახულებით. ეს კოლექცია შემდეგ დაცული იქნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების ფონდებში №55-14 [ნადიმაშვილი 1948: 12].

სოფ. ზემო აჩაბეთსა და სოფ. ქურთას შორის არხის მშენებლობისას ასევე შემთხვევით აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები. დაზვერვების შედეგად სოფლის ჩრდილო-დასავლეთით ორი დიდი ბორცვი გამოვლინდა, რომელთა შორიახლოს ორი ქვაყრილიანი ყორღანი აღმოჩნდა. სოფელში დაცული იყო მაჩაბელთა საგვარეულო ციხე-სიმაგრე, სადაც გადმოცემით ზოგჯერ თვით მეფის მემკვიდრეებიც ცხოვრობდნენ, რასაც ადასტურებს აჩაბეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე თირის მონასტერში საგვარეულო საფლავის ქვებზე არსებული წარწერები. ტაძარი ბაზილიკური ტიპისაა, ნავისებრი სახურავით. ქვის კანკელი მოჩუქურთმებულია, შიგნით კედლები კი ფრესკებით ყოფილა შემკული [ნადიმაშვილი 1948: 13].

სოფელი ქურთა

სოფ. ქურთა XIX საუკუნის დასაწყისში მაჩაბლების სამფლობელო უნდა ყოფილიყო. აქ დაცული იყო მაჩაბლების სახლი და ოთხკუთხა ციხე-კოშკი, რომელიც სავარაუდოდ სამი სართულისაგან შედგებოდა. კოშკს შიგნით დატანებული ჰქონდა სათოფურებ-სამზერები, თახჩები და ბუხრები. ქვევით მარანი იყო ქვევრებით. მესამე სართულზე, დასავლეთის მხარეს ჰქონდა მინაშენი – საჭირო ოთახი, რომელიც თავისი ფორმით და დეტალებით წააგავდა კეხვის, ყორნისის, წორბისის საგვარეულო ციხე-კოშკებში არსებულ ოთახებს. რაც იმაზე მეტყველებს, რომ დიდი ლიახვისა და ფრონეს ხეობებში არსებობდა თავისებური სახის საფორთიფიკაციო-სტრატეგიული ნაგებობები [ნადიმაშვილი 1948: 14].

სოფელი კეხვი

ვინმე კოლექციონერ მხითარინცს, კავკასიის მუზეუმისათვის ჩაუბარებია სოფ. კეხვში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების კოლექცია, რომელიც შემდგომში დაცული იქნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების ფონდებში. ნივთების აღმოჩენის ადგილი ცნობილი არ იყო. ადგილობრივი დაზვერვები ჩატარდა სოფლის ჩრდილო-დასავლეთით ციხისა და წმინდა გიორგის ეკლესიის მიმართულებით. აქ ადგილ „დოპანტებში“ და „დედაბრებში“ მოსახლეობის ცნობით წვიმების შედეგად თიხის ნივთები ჩნდებოდა. დათვალიერების შემდეგ ზედაპირულად აიკრიფა კერამიკის ნატეხები და გამოვლინდა სამაროვნი [ნადიმაშვილი 1948: 16].

სოფელი ქემერტი

სოფ. ქემერტი მდებარეობს ქ. ცხინვალიდან 10 კმ-ის დაშორებით, ხოლო სოფ. კეხვიდან 1 კმ-ის დაშორებით, მის ჩრდილო-აღმოსავლეთით. იგი შედგება სამი უბნისგან. დაიზვერა სოფ. სვერის მიმართულებით, ხევის პირას დიდ ბორცვზე აღმართული დიდი ციხე-სიმაგრე, რომელიც ლიტერატურაში სვერის ციხის სახელითაა ცნობილი. ბორცვის გამოკვლევის შედეგად გამოვლინდა ადრეული კულტურული ფენები. აიკრიფა ზედაპირული მასალა, რომელიც მსგავსი იყო ცხინვალის „ნაცარგორას“ ზედა ფენების კერამიკისა [ნადიმაშვილი 1948: 16].

სოფელი მსხლები

დაზვერვების შედეგად სოფ. მსხლებსა და სოფ. გუფთას შორის, გზის პირას, გამოვლინდა ყორღანები. სოფელში, ღელის პირას, დაზვერვების შედეგად გამოვლინდა ოვალურ-წრიული მოყვანილობის დიდი ბორცვი, რომელიც ყორღანად უნდა ჩაითვალოს. ამ ყორღანის ჩრდილო-აღმოსავლეთით მიწის სამუშაოების დროს სოფლის მოსახლეებს უპოვიათ ბრინჯაოს იარაღები, რომელთა ნაწილი ცხინვალის მუზეუმში ჩაუბარებიათ. დაზვერვების დროს სოფლის მცხოვრებმა ს. ნადიმასვილს გადასცა ბრინჯაოს მილაკი და ლურსმნის ფრაგმენტი [ნადიმაშვილი 1948: 17].

სოფელი ხვწე

სოფ. ხვწეში, სოფლის ხე-ტყის სახერხი ქარხნის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ტყის პირას მდებარე ვაკეზე-ნაძვნარში გამოვლინდა ყორღანული სახის პატარა ბორცვები. სოფლის თანამედროვე სასაფლაოს დასავლეთით, ბორცვზე, რომელსაც მოსახლეობა „გორი-გორას,“ „გორი-ჯვარს“ უწოდებდა, სავარაუდოდ ყორღანული სამარხი გამოვლინდა [ნადიმაშვილი 1948: 18]. ამ ბორცვის

ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს მეორე ბორცვი, რომელიც „ნაიფადის“ სახელითაა ცნობილი. ბორცვ „ნაიფადის“ დასავლეთით, ტყეში, კიდევ ერთი დიდი ხელოვნური ბორცვი გამოვლინდა, რომელზეც ნანგრევების სახითაა შემორჩენილი მაცხოვრის სახელობის ნიშ-ეკლესია. ყორღანული ბორცვის ძირში, სოფლის თანამედროვე სასაფლაოზე, ადგილობრივების გადმოცემით, სამარხის გათხრისას წაწყდომიან ძველ სამარხს, რომელშიც მიცვალებული მოკრუნჩხულ პოზაში ესვენა. სამარხში აღმოჩენილა სამი ბრინჯაოს სატევარი, ორი შუბისპირი, და სხვა ნივთები [ნადიმაშვილი 1948: 19]. აქაურმა მოსახლემ ს. ნადიმაშვილს გადასცა ბრინჯაოს სამი სატევარი და ორი შუბისპირი. პირველი სატევარს, პირის ორივე მხარეს მიუყვებოდა ღარები. იმავე რაოდენობის და სახის ღარები იყო გამოსახული სახელურზე. სატევრის პირი და სახელური ერთიანი იყო. მისი პირის მოყვანილობა მსგავსი იყო ყობანური სატევრების და თრიალეთში ბეშთაშენის მახლობლად,, ბ. კუფტინის მიერ გათხრილ გერიაქ-ჩაის მარჯვენა მხარეს მდებარე სამაროვნის, IV სამარხში აღმოჩენილ სატევრის პირის. მეორე, შედარებით პატარა ბრინჯაოს სატევარს ტოლფერდა სამკუთხედის ფორმის მხრები ჰქონდა და პატარა ყუნწიანი სოლით ბოლოვდებოდა, რომელზეც ალბად ხის ტარი ჰქონდა დამაგრებული სახელურისათვის. სატევარს მიუყვებოდა ორმხრივ ამოზნექილი და ნაპირებისკენ დადაბლებული სწორი ხაზი. სატევრის ბოლოზე ფრჩხილისებური ამონაჭრები შეიმჩნეოდა, რაც მიუთითებდა, რომ სახელური პირის ბოლოზე ლურსმნებით უნდა ჰქონოდა დამაგრებული. ეს სატევარიც მსგავსი იყო თრიალეთში აღმოჩენილ სატევრისა. მესამე ყუნწიანი სატევარიც საკმაოდ ლამაზი და კარგი ხელობის ნიმუშს წარმოადგენდა და მსგავსებას იჩენდა ყობანურ ოთხღაროვან სატევრებთან. ამავე კომპლექსს ეკუთვნოდა ბრინჯაოს ამოზნექილზურგიანი შუბისპირიც, რომელსაც განიერი, მომრგვალებული მხრები და შევიწროვებული პირი ჰქონდა. ხის ტარის დამაგრების ადგილზე ლურსმნისათვის ორი ნახვრეტი ქონდა. ასეთივე ფორმისა იყო მეორე, შედარებით პატარა შუბისპირიც [ნადიმაშვილი 1948: 20].

სოფელი სტირფაზი

სოფ. სტირფაზი მდებარეობს მდ. დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირზე. სოფლის გამოღმივ, იქ სადაც მდ. ლიახვი უხვევს, აღმოსავლეთ მხარეს. როკი-ცხინვალის გზის გაფართოებისას, 1923-1924 წლებში მუშებს არქეოლოგიური ნივთები უნახავთ. მოსახლეობა ამ ადგილს „ცარციათელთა“ (შარშიათელთა) კაჯახის სახელით მოიხსენიებდა [ნადიმაშვილი 1948: 20]. 1939 წლის ივლისში, ეს

ადგილი ერთად დაუზვერავთ ნ. ხოშტარიას და ს. ნადიმაშვილს. 1945 წელს ცხინვალი-როკის გზის განაპირას ბ. კუფტინმა ჩაატარა მცირე საკონტროლო გათხრები. გამოვლინდა ორმოსამარხი, რომელშიც აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთები, მათ შორის ბრინჯაოს ბოლომოხვეული სპირალებიანი აბზინდა. ეს ნივთები ჩაბარებული იქნა ცხინვალის მუზეუმში [ნადიმაშვილი 1948: 13]. 1946 წელს გ. გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით ამ ადგილას გავლებული იქნა საკონტროლო თხრილი. გამოვლინდა სამარხი, რომელშიც მიცვალებულის ძვლები უწესრიგოდ ეყარა. აღმოჩნდა: მინიატურული ჯამი, მოწითალო ფერის ყურიანი კათხა, რკინის ცული, სარდიონის, პასტის და მინის მძივები. აღსანიშნავია პრიზმული ფორმის ლურჯი მინის მძივი, რომელზეც ამოტვიფრული იყო ცხენებშებმული ეტლი [ნადიმაშვილი 1948: 22].

სოფ. სტირფაზის პირდაპირ „ცარციათი კაჯახის“ კლდის გადასწვრივ, მდ. ლიახვის მარცხენა მხარეს, ფლატეში, წვიმის მიერ გზის ნაპირის გადარეცხვის შედეგად, 1947 წელს მოსწავლეებს უპოვიათ სამარხი და შეუგროვებიათ არქეოლოგიური ნივთები, მათ შორის: ბრინჯაოს პატარა და დიდი აბზინდა, რომელიც ჭრილში რომბის ფორმისაა და მსგავსია ყობანსა და თლიაში მოპოვებული აბზინდების; თავთან წვრილი და ბოლოში მსხვილი მავთულისაგან დამზადებული ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლები; ბოლომოხვეული, ოთხკუთხოვანი ჭრილის მქონე მავთულისაგან დამზადებული ბრინჯაოს ორი საკინძი; ბრინჯაოს სპირალური სამაჯური. ამავე კომპლექსიდან უნდა ყოფილიყო ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ ნაპოვნი ბრინჯაოს შუბისპირი, ბრინჯაოს ქინძისთავები, სარდიონის მძივები, ოქროს საყურე და თიხის სადღვებელი [ნადიმაშვილი 1948: 23-27]. სარდიონის მძივებს შორის აღმოჩნდა გულის მოყვანილობის მძივი, რომელიც თავისი ფორმით ანალოგიას პოულობს 1947 წელს ბ. კუფტინის მიერ ენეოლითურ საკულტო ნაგებობაში, ჩაშვებულ გვიანდელ სამარხში, აღმოჩენილ სარდიონის მძივებთან. ასევე აღსანიშნავია ბიკონუსური ფორმის ბრინჯაოს მომცრო მძივი.

თიხის სადღვებელი ძირთან შევიწროვებულია, მუცლისკენ თანდათან ფართოვდება და ყელთან დაბლდება. აქვს ცილინდრული ყელი და გადაწეული ფართო პირი. მუცელზე დატანილი აქვს ღილისებრი ნახვრეტი. სადღვებელი მოგვაგონებს სამთავროგამდლისწყაროს, გუდაბერტყის, ფლავისმანის, ნაცარგორა დვანის ძეგლების სადღვებლებს [ნადიმაშვილი 1948: 27].

სოფელი კროზი

სოფ. კროზი მდებარეობს მდ. ლიახვის მარცხენა მხარეს, მთების ზემოთ პლატოზე, დაბა ჯავიდან 4კმ-ის დაშორებით. დაზვერვების შედეგად მიკვლეულ იქნა ოთხკუთხა კოშკების ნაშთები, რომელთა შორის სამი საერთო კედლით უნდა ყოფილიყო შეერთებული. ეს შესაძლოა კროზში ციხე-სიმაგრის არსებობაზე მეტყველებს. ორი კოშკის ნაშთი მდებარეობდა სოფლის დასავლეთით მდებარე ორ ხევს შორის. სოფლელების გადმოცემით არქეოლოგიური ნივთები უპოვიათ სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით „ვაცილას“ ხატის მიდამოებში [ნადიმაშვილი 1948: 27]. სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით ნაკრძალი იყო, სადაც შემორჩენილი იყო პატარა ბაზილიკური ტიპის ეკლესიის ნანგრევები. სოფლის სამხრეთით, სახნავ მინდვრებში მიკვლეული იქნა ყორღანული სამარხების დიდი ჯგუფი. ადგილობრივები ამ ბორცვებს ოსურ ენაზე სხვადასხვა სახელებს უწოდებდნენ. მაგალითად „პაპუნა-შანდ“ („პაპუნა-ცანდ“ - პაპუნას ქვანაყარი); „კოდახჯინ (ჯირკვნარი); „არჯვათ“; „აღსარჯინ“ „ყაუბელ“ და სხვა. მათი სიმაღლე 1 მ-ს აღწევდა, დიამეტრი კი 20-30მ-ს [ნადიმაშვილი 1948: 28].

სოფელი განითყაუ

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით მიკვლეული იქნა ყორღანული ბორცვი, რომელზეც დიდი მუხის ხე იდგა. ეს ბორცვი საკულტო დანიშნულების ძეგლებს უნდა მიეკუთვნებოდეს [ნადიმაშვილი 1948: 29].

როგორც ვხედავთ ამ დაზვერვების შედეგად სერგო ნადიმაშვილმა ბევრი მანმადე უცნობი ძეგლი გამოავლინა და აღწერა, მათ შორის სამაროვნები, ყორღანული სამარხები, ნამოსახლარები, ციხე-სიმაგრეები, ეკლესია-მონასტრები. შეაგროვა წარწერები და ზეპირი გადმოცემები. მის მიერ გამოვლენილი ძეგლებიდან ბევრი იქნა შესწავლილი - ცხინვალის ნაცარგორა, ტყვიავის ყორღანები, ბრილის და ნულის სამაროვნები, დვანის ნაცარგორა, ქულბაქები, ზღუდრისგვერდა და სხვა. ამ ძეგლებს იკვლევდნენ ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის, თბილისის სახ. უნივერსიტეტის, სამხრეთ ოსეთის სანეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციები, მაგრამ სამწუხაროდ სერგო ნადიმაშვილის მიერ აღწერილი ბევრი ძეგლი დღემდე შეუსწავლელი დარჩა.

ლიტერატურა

აბულაშვილი 2011 თინა აბულაშვილი, საქართველოს არქეოლოგიის ისტორია, თბ.

ბერძენიშვილი 1959 ნინო ბერძენიშვილი, ზედა პალეოლითი, საქართველოს არქეოლოგია, ტ. I, თბ., გვ. 35-67.

გამყრელიძე 1996 გელა გამყრელიძე, ქართული არქეოლოგიის ისტორიიდან, თბ.

კუფტინი 1949 ბორის კუფტინი, ქართული კულტურის უძველესი კერა თრიალეთში, თბ.

ლომთათიძე 1952 გიორგი ლომთათიძე, წინაპართა ნაკვალევზე, თბ.

ნადიმაშვილი 1948 სერგო ნადიმაშვილი, დიდი ლიახვის ხეობის არქეოლოგიური დაზვერვების ანგარიში, 26 გვერდი, ხელნაწერი (ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტში).

მაკალათია 1943 სერგი მაკალათია, ტყვიავის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები, თბ.

ხოშტარია 1959 ნინო ხოშტარია, ანტიკური ხანის ძეგლები დასავლეთ საქართველოში, საქართველოს არქეოლოგია, ტ. I, თბ., გვ. 223-251.

ჯავახიშვილი 1948 ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ.

ჯაფარიძე 1959 ოთარ ჯაფარიძე, ბრინჯაოსა და რკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები, საქართველოს არქეოლოგია, ტ. I, თბ, გვ. 68-107.

ჯაფარიძე 1959 ოთარ ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ.

ჯაფარიძე 2009 ოთარ ჯაფარიძე, შიდა ქართლის უძველესი წარსულიდან, თბ.

გაზეთი Кавказъ, 1852, №43.

Городцов 1905 В. Городцов, Резултаты археологических исследовании в Изюмском уезде, Харковской губ. 1901 г. Труды XII археологического съеэда в Харкове 1902 г. М.

Куфтин 1949 Б. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тб.

Tina Abulashvili

1948 Archaeological survey in the Greater Liakhvi Gorge

For many years number of archaeologists have conducted archaeological works in Shida Kartli. Lot of scholars were interested in the monuments discovered here, but the investigation materials still are not fully published. Sergo Nadimashvili, the director of Gori historical-ethnographic museum, who was well familiar with the antiquities of this region, played a decisive role in the study of archaeological sites of the Shida Kartli.

Shida Kartli was little-known until the end of the 19th century. The first excavations were carried out in the summer of 1852 by Dimitri Megvinetukhutsesishvili in Uplistsikhe. Later, under instruction the Moscow Imperial Archaeological Society V. Dolbezhev conducted small archaeological excavations in village Stirfazi; archeological excavations were also carried out on the Tli tomb. Since the 30s of XX century when large-scale archaeological excavations began in Georgia, many important archaeological sites have been studied and excavated in Shida Kartli, namely in villages Nuli, Dvani on the Samniferda mound, on Zghudrisgverda near Tskhinvali, etc. In 1945-1951 based on the instruction of the Division of Monument Protection of Department of Architecture and S. Janashia State Museum of Georgia, a short term expedition was organized in this region, supervised by B. Kuftin. Numerous monuments have been identified during extensive, systematic study. The archaeological excavations were also carried out at Gori fortress, in the suburb of Tskhinvali on the hill "Natsargora", village Kvasatali, on the site of "Kviana", etc. In April 1948, Sergo Nadimashvili has coducted archaeological survey in the Greater Liakhvi Gorge. Archeological monuments of various periods have been identified – settlements, tombs, cult buildings, fortification sites.

The route of survey was as follows: Shindisi, Upper Khviti, Lower and Upper Nikozi, Tskhinvali (Staliniri), Mamisaantubani, Ergneti, Meghvrekisi, Shertuli, Tkivavi, Tbeti, Kusreti, Dgvrisi, Tamarasheni, Zemo and Kvemo Achaveti, Kurta, Kekhvi, Java, Khvtse, Stirfazi, krozi (Krozhi), Ganitkau, Khvrtse, Morgo, Jria, Java, Mskhlebi, Gufta, Itrafisi, Kemerti, Mebrune, Dodoti, Brili, Dzari, Upper, Lower and Middle Rustavi, Kaspi, Kornisi, Bekmari, Arkneti, Ghvertevi, Nuli, Mobinovo Gorge, Samtskaro, Prinevi, Avnevi, Muguti, Dvani Natsargora, Kvavis Sakdari, Tskhinvali Natsargora, Kulbakebi, Zguderi, Mtskheta Jvari.

თირის მონასტერი

კეხვი



სვერის ციხე

სერგო ნადიმაშვილი გათხრებზე